



## საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000011982549221

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46  
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 2

18 / იანვარი / 2021 წ.

### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფელ ფიჩხოვანში მდებარე 118820.0კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და 5029.0კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის, ქირის სანჯისი საფასურისა და პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, სანჯისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის სანჯისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე მუხლების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის და 54-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ


### გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფელ ფიჩხოვანში მდებარე 118820.0კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და 5029.0კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი აღნაგობის უფლებით მოქ. შონ ლომთაძისათვის გადაცემა. ს/კ 50.09.36.430; 50.09.36.429
2. დამტკიცდეს პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით გასაცემი სოფ. ფიჩხოვანში მდებარე
  - ა) 118820.0 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის:
    - სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საფასური -4990,0 (ოთხიათას ცხრაას ოთხმოცდაათი) ლარის ოდენობით.
  - ბ) 5029.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის:
    - სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საფასური-3018,0 (სამიათას თვრამეტი) ლარის ოდენობით.
  - გ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 49 წელი.
  - დ) სარგებლობის უფლებით გადაცემის პირობები შემდეგი სახით:

- მშენებლობაზე განხორციელდეს არანაკლებ 750000 (შვიდასორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიცია.
- ინვესტიცია განხორციელდეს მიწის სარგებლობაში მიღებიდან არაუმეტეს ოთხი წლის ვადაში.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 01 ივლისის N27 განკარგულება - „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფელ ფიჩხოვანში მდებარე 111911.0 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და 5000.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის, ქირის საწყისი საფასურის და პირობების დამტკიცების შესახებ.“
4. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში ( ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/  
შტამგადასმულია  
ელექტრონულად 

თამარ ყვინიშვილი